

თანხმობა/დადასტურება პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე

- წინამდებარე დოკუმენტზე დათანხმებით, ვადასტურებ, რომ გაცნობილი ვარ და ვეთანხმები თანამშრომლობის წესებს და ვაცხადებ თანხმობას, ჩემი პერსონალური მონაცემები, რომელიც ჩემს მიერ იქნა შეყვანილი სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ (შემდგომში „ალფას“) პორტალზე, დამუშავებულ იქნას (შეინახოს, აღირიცხოს, გადაეცეს შესაბამის პირებს და ა.შ.) ალფას მიერ, ჩემთვის მომსახურების გაწევის მიზნით. აქვე ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზუსტი და პასუხისმგებელია ვარ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ჩემს მიერ არასწორად/არაზუსტად/არასრულყოფილად შეყვანილი ინფორმაციის გამო მე მომადგება ზიანი, აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არ მექნება „ალფასთან“;
- წინამდებარე დოკუმენტზე დათანხმებით, მე ვადასტურებ, რომ მოპოვებული მაქვს თანხმობა, ჩემს მიერ პორტალზე მითითებული პირი(ები)სგან (შემდგომში პოტენციური კლიენტი), რომლის საფუძველზეც „ალფას“ ენიჭება უფლება ჩემს მიერ მითითებული ინფორმაცია (პოტენციური კლიენტის შესახებ ინფორმაცია) დაამუშავოს (შეინახოს, აღირიცხოს, დაუკავშირდეს და ა.შ. განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რაც დაკავშირებულია პოტენციურ კლიენტთან დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად) თავისი შეხედულებისამებრ (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის), პოტენციურ კლიენტთან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;
- მე, როგორც პოტენციური კლიენტის ინფორმაციის მომწოდებელი, ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ჩემს მიერ პოტენციური კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოწოდება წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ინფორმაციის დამუშავებას და ვარ პასუხისმგებელი მოწოდებული ინფორმაციის კანონიერებაზე. ვადასტურებ და ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ იმ შემთხვევაში თუ ჩემს მიერ პოტენციური კლიენტის ინფორმაციის მოწოდება არ იქნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში (კანონდარღვევით იქნება მოწოდებული და ა.შ.) და აღნიშნულის გამო „ალფას“ მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა ან/და მატერიალური/მორალური ზიანი და ა.შ.) ამ ზიანს/ზარალს სრულად ავანაზღაურებ „ალფას“ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.